



„ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ში საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობის ხელშეწყობის 2018 წლის საგრანტო კონკურსი

ხშირად დასმული კითხვები

№	შეკითხვა:	<i>შესაძლებელია თუ არა აღნიშნული კონკურსის ფარგლებში სამივე ლოტში მონაწილეობის მიღება?</i>
1.	პასუხი:	- არა, კონკურსის ფარგლებში მხოლოდ ერთ ლოტში შეიძლება ერთი და იმავე სამეცნიერო ჯგუფის/მეცნიერის მონაწილეობა.
2.	შეკითხვა:	<i>პირველ ლოტზე განაცხადის წარდგენა შეუძლია თუ არა დოქტორანტს?</i>
	პასუხი:	- მოსამზადებელი გრანტის კონკურსში პროექტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე, ძირითადი პერსონალის სახით კი შეიძლება ჩართული იყვნენ პროექტის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ახალგაზრდა მეცნიერ(ებ)ი, პოსტ-დოქტორანტ(ებ)ი, დოქტორის / მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირ(ებ)ი, დოქტორანტ(ებ)ი, მაგისტრანტ(ებ)ი, რეზიდენტურის სტუდენტ(ებ)ი.
3.	შეკითხვა:	<i>გათვალისწინებულია თუ არა მეორე ლოტზე (საშუამავლო) ჰორიზონტი 2020-ის კონკრეტული კონკურსის იდენტიფიცირება?</i>
	პასუხი:	- საგრანტო პროექტის ფარგლებში სავალდებულოა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის საგრანტო კონკურს(ებ)ისათვის საპროექტო წინადადების მომზადება და წარდგენა (იხ. კონკურსის პროგრამა და პირობები, მუხლი 8).
4.	შეკითხვა:	<i>მოსამზადებელ გრანტზე მხოლოდ მეცნიერთა ჯგუფს აქვს პროექტის წარდგენის უფლება თუ შესაძლებელია ინდივიდუალური განაცხადის წარდგენა უნივერსიტეტის სახელით?</i>
	პასუხი:	- მოსამზადებელი გრანტის კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია მეცნიერთა ჯგუფს (იხ. კონკურსის პროგრამა და პირობები, მუხლი 2)
5.	შეკითხვა:	<i>აუცილებელია, რომ უცხოელმა მონაწილემ გაიაროს რეგისტრაცია GMUS-ზე, თუკი მონაწილეობაზე თანხმობას დაადასტურებს ხელმოწერით და მოგვეცემს CV-ის მონაცემებსაც?</i>
	პასუხი:	- უცხოელი მონაწილის რეგისტრაცია GMUS-ზე აუცილებელია, რადგან CV გენერირდება GMUS-ის მიერ მეცნიერის რეგისტრაციისას, ექსპორტირდება და იტვირთება PDF დოკუმენტის სახით პროექტის წარდგენისას სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ.



6.	შეკითხვა:	<i>რა იგულისხმება მესამე ლოტის გეგმა-გრაფიკში შესავსებ აქტივობებში?</i>
	პასუხი:	- მობილობის გრანტით განსაზღვრული ვიზიტი უნდა განხორციელდეს გამარჯვებულთა გამოვლენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. გეგმა-გრაფიკში აღწერილი უნდა იყოს ყველა ის აქტივობა, რომლის განხორციელებასაც აპირებთ წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრული შედეგის მისაღებად.
7.	შეკითხვა:	<i>როგორ შევავსოთ პროექტის გეგმა-გრაფიკის შედეგების ველი, სადაც მითითებული არ არის კონკრეტული ჩამონათვალი?</i>
	პასუხი:	- აღნიშნული საგრანტო კონკურსის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული არ არის კონკრეტული შედეგების ჩამონათვალი. შესაბამისად, აპლიკანტი თავად ავსებს აღნიშნულ ველს.
8.	შეკითხვა:	<i>როგორ განხორციელდება გამარჯვებული პროექტების მონიტორინგი?</i>
	პასუხი:	- ფონდი გამარჯვებული პროექტების მონიტორინგს განახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 15 დეკემბრის #197/ნ ბრძანების მე-11 მუხლისა და გრანტის მიმღებსა და ფონდს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად.
9.	შეკითხვა:	<i>განსაზღვრულია თუ არა ჰორიზონტი 2020-ის კონკრეტული კონკურსები, რომლებშიც შესაძლებელია მონაწილეობის მიღება საგრანტო კონკურსის ფარგლებში?</i>
	პასუხი:	- არა. აღნიშნული საგრანტო კონკურსი ჰორიზონტი 2020-ის ფარგლებში გამოცხადებულ რომელიმე კონკურსში განაცხადის წარდგენას გულისხმობს. გთხოვთ, იხილოთ ინფორმაცია ჰორიზონტი 2020-ის შესახებ ბმულის მეშვეობით.
10.	შეკითხვა:	<i>პროექტის რეგისტრაციისას საჭიროა თუ არა, რომ დამხმარე პერსონალმაც წარმოადგინოს CV-ები?</i>
	პასუხი:	- არა. რეგისტრაციისას მხოლოდ ძირითადი პერსონალის CV-ების წარმოდგენაა საჭირო.
11.	შეკითხვა:	<i>ბიუჯეტის რომელი კატეგორია მოიცავს კვების ხარჯს პირველი ლოტის და მეორე ლოტის შემთხვევაში?</i>
	პასუხი:	- პირველ ლოტში - კვების ხარჯს საქართველოს მოქალაქეებისათვის მოიცავს პროექტის ბიუჯეტის 2.1 მუხლი; - მეორე ლოტში კვების ხარჯს მოიცავს პროექტის ბიუჯეტის მეორე მუხლი.



12.	შეკითხვა:	<i>რა იგულისხმება საშუაშელო ღონისძიებაში?</i>
	პასუხი:	<ul style="list-style-type: none"> - საშუაშელო ღონისძიება არის ფართომასშტაბიანი საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიება ან სამუშაო შეხვედრა, რომელიც შესაბამისობაშია ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის ან სხვა საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ კონკურსსა თუ ღონისძიებასთან და ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის აკადემიურ და კერძო/საჯარო/ბიზნეს ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობას.
13.	შეკითხვა:	<i>შეიძლება თუ არა III ლოტში შემოვიტანო განაცხადი დაფინანსების მისაღებად საზღვარგარეთ საერთაშორისო კონფერენციაზე დასწრების მიზნით?</i>
	პასუხი:	<ul style="list-style-type: none"> - მობილობის გრანტის ფარგლებში შეგიძლიათ, განაცხადი შემოიტანოთ საზღვარგარეთ საერთაშორისო საშუაშელო ღონისძიებაზე დასწრების მიზნით დაფინანსების მისაღებად.
14.	შეკითხვა:	<i>შესაძლებელია თუ არა II ლოტის ფარგლებში საშუაშელო ღონისძიების მოწყობის შემდეგ, განაცხადი არ წარვადგინოთ „ჰორიზონტი 2020“-ში?</i>
	პასუხი:	<ul style="list-style-type: none"> - აღნიშნული ლოტი, ისევე, როგორც დანარჩენი ორი ლოტი, ითვალისწინებს „ჰორიზონტი 2020“-ში განაცხადის წარდგენას/კონსორციუმის შექმნას.
15.	შეკითხვა:	<i>პროექტის ბიუჯეტი უნდა შეეფასოთ მოცემული ექსელის ფორმატით და ისე უნდა აიტვირთოს GMUS-ში?</i>
	პასუხი:	<ul style="list-style-type: none"> - კონკურსის სამივე ლოტის შემთხვევაში, პროექტის განხორციელების ბიუჯეტი ივსება გრანტების მართვის ელექტრონულ სისტემაში (GMUS)-ში პროექტის ელექტრონული რეგისტრაციის დროს მოცემული ბიუჯეტის ფორმის შესაბამისად.
16.	შეკითხვა:	<i>რა უნდა იქნას განხილული „ჩაბარებად“ (deliverable) ინდიკატორად? რა უნდა წარმოვადგინოთ ანგარიშში?</i>
	პასუხი:	<ul style="list-style-type: none"> - თითოეულ ლოტზე უმთავრესი მოთხოვნაა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის საგრანტო კონკურს(ებ)ისათვის საპროექტო წინადადების მომზადება და წარდგენა. შესაბამისად, ანაგრიშში წარმოდგენილი უნდა იყოს იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ გრანტიორმა „ჰორიზონტი 2020“-ის საგრანტო კონკურსზე საპროექტო წინადადება წარადგინა. ასევე, საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული დოკუმენტაცია.
17.	შეკითხვა:	



	პასუხი:	<p>რომელი "სეზონური სკოლა, ვორკშოპი, სემინარი, ვებინარ(ებ)ი, კონფერენცია, სიმპოზიუმი" ჩაითვლება მიზნობრივად? ანუ ეს უნდა იყოს აუცილებლად „ჰორიზონტი 2020“-ის ფარგლებში ჩატარებული?</p> <p>„სეზონური სკოლა, ვორკშოპი, სემინარი, ვებინარ(ებ)ი, კონფერენცია, სიმპოზიუმი“ უნდა იყოს ფართომასშტაბიანი საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიება ან სამუშაო შეხვედრა, რომელიც შესაბამისობაშია ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის ან სხვა საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ კონკურსსა თუ ღონისძიებასთან და დაეხმარება აპლიკანტს „ჰორიზონტი 2020“-ის კონკურსში განაცხადის წარდგენაში.</p>
18.	შეკითხვა:	<p><i>იმ შემთხვევაში, თუკი კონსორციუმის შექმნისა და განაცხადის წარდგენის შემდგომ პროექტი ვერ გაიმარჯვებს ჰორიზონტი 2020-ის კონკურსში, ფონდისგან მოთხოვნილი თანხა დაბრუნებას ექვემდებარება?</i></p> <p>- არა, კონკურსის მთავარი პირობაა „ჰორიზონტი 2020“-ის კონკურსში მონაწილეობის მიღება (განაცხადის წარდგენა, კონსორციუმის შექმნა) და არა - აუცილებლად „ჰორიზონტი 2020“-ის კონკურსში გამარჯვება.</p>
	პასუხი:	
19.	შეკითხვა:	<p><i>რას ნიშნავს „კონკურსის გამოცხადების შემდეგ, კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენამდე გაწეული ხარჯი ფონდის მიერ მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება განმცხადებლის გამარჯვების შემთხვევაში“?</i></p> <p>- თუკი „2018 წლის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ში საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობის ხელშეწყობის სახელმწიფო საგრანტო კონკურსში“ კონკურსის გამოცხადებიდან გამარჯვებულების გამოვლენამდე აპლიკანტი გაწევს ხარჯს, რომელიც ასევე გაწერილი აქვს ფონდში წარმოდგენილ ბიუჯეტსა და გეგმა-გრაფიკში, გამარჯვების შემთხვევაში, ამგვარი ხარჯი ჩაითვლება მიზნობრივად.</p>
	პასუხი:	
20.	შეკითხვა:	<p><i>შესაძლებელია, რომ წარდგენილ პროექტში გათვალისწინებული იყოს ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენელთან/წარმომადგენლებთან ერთად, აშშ, კანადის და შვეიცარიის მეცნიერების მონაწილეობა?</i></p> <p>- შესაძლებელია ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეების გარდა, პროექტში ჩართული იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქე მეცნიერები, თუმცა ისინი ვერ იქნებიან გრანტის მიმღები.</p> <p>ასევე, გაითვალისწინეთ, რომ ვინაიდან კონკურსის მთავარი პირობაა, „ჰორიზონტი 2020“-ის ფარგლებში გამოცხადებულ რომელიმე კონკურსში მონაწილეობის მიღება, უნდა იხილოთ კონკრეტული კონკურსის პირობები. თუკი ამ კონკურსს არ ექნება შეზღუდვა ზემოხსენებული ქვეყნების მოქალაქეებზე, შეგიძლიათ, პროექტში ჩართოთ ისინი.</p>
	პასუხი:	



21.	შეკითხვა:	შეიძლება თუ არა მეორე ლოტის შემთხვევაში თანამონაწილე იყოს უცხოეთში რეგისტრირებული ორგანიზაცია?
	პასუხი:	- კონკურსის პროგრამა და პირობებისა და მინისტრის ბრძანების თანამხმად, თანამონაწილე ორგანიზაციაში იგულისხმება : <u>საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.</u> (იხ. მინისტრის ბრძანება # 197/ნ, მუხლი 2)
22.	შეკითხვა:	მესამე ლოტის შემთხვევაში, რამდენი ხნის განმავლობაში შეუძლია განმცხადებელს მონაწილეობის მიღება?
	პასუხი:	- მობილობის გრანტით განსაზღვრული ვიზიტი უნდა განხორციელდეს გამარკვეულთა გამოვლენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (იხ. კონკურსის პროგრამა და პირობები, მუხლი 4).
23.	შეკითხვა:	შესაძლებელია თუ არა მონაწილეობა მივიღო კონკურსის ორ ლოტში (II და III ლოტებში) ძირითადი პერსონალის სახით?
	პასუხი:	- არა, კონკურსის ფარგლებში მონაწილეობა შესაძლებელია სამი ლოტიდან მხოლოდ ერთში (კონკურსის პროგრამა და პირობები, მუხლი 5).
24.	შეკითხვა:	თუ „ჰორიზონტი 2020“-ზე წარდგენილი განაცხადი გადასულია მეორე ეტაპზე, შესაძლებელია თუ არა ამ შემთხვევაში განაცხადის წარდგენა?
	პასუხი:	- აღნიშნული კონკურსი გულისხმობს ქართველ მეცნიერთა მხარდაჭერას ჰორიზონტი 2020-ში განაცხადის წარსადგენად/კონსორციუმის შესაქმნელად, და, შესაბამისად, განაცხადის წარდგენის პირველ ეტაპს.
25.	შეკითხვა:	აუცილებელია თუ არა პროექტის ხელმძღვანელი იყოს ჰორიზონტი 2020-ში წარდგენილი განაცხადის კოორდინატორი?
	პასუხი:	- არა, ფონდში წარდგენილი პროექტის ხელმძღვანელი აუცილებელი არ არის იყოს ჰორიზონტი 2020-ში წარდგენილი განაცხადის კოორდინატორიც.
26.	შეკითხვა:	პირველი ლოტის შემთხვევაში, არის თუ არა შეზღუდული ვიზიტების რაოდენობა და შესაძლებელია თუ არა სხვადასხვა პერიოდში განხორციელდეს რამდენიმე ვიზიტი?
	პასუხი:	- ვიზიტების რაოდენობა შეზღუდული არ არის; როგორც საპროექტო წინადადებაშია მითითებული (დანართი 3), შეგიძლიათ მოკლევადიანი ვიზიტის განხორციელება საზღვარგარეთ, და/ან საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე დასწრება, შესაძლებელია ორივე აქტივობის განხორციელება სხვადასხვა პერიოდში.



შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA



		მნიშვნელოვანია, შესაბამისად შეივსოს პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი, ბიუჯეტი და საპროექტო წინადადება.
27.	შეკითხვა:	<p>ვგეგმავთ განაცხადის წარდგენას „ერასმუს +“ - ის კონკურსში, და ასეთ შემთხვევაში რომელ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს კონსორციუმის შექმნა?</p> <p>- აღნიშნული კონკურსის ფარგლებში სავალდებულო მოთხოვნაა განაცხადის წარდგენა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამაში „ჰორიზონტი 2020“. „ერასმუს +“ კი არის ევროკავშირის საგრანტო პროგრამა, რომელიც გულისხმობს პროექტებს განათლების, ტრენინგის, ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულებით. აღნიშნულის დაფინანსებას არ ითვალისწინებს ფონდის მიერ ადმინისტრირებული კონკურსი.</p>
	პასუხი:	